

**მოდრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია**

**უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები**

უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებია ისეთი მონაცემები, რომლებიც უფლების სუბიექტის (მაგ. მესაკუთრის) და ობიექტის (მაგ. მიწის ნაკვეთის) იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

**რას ნიშნავს უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილებების რეგისტრაცია?**

უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია არის წარმოშობის რეგისტრაცია არის აღნიშნულ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

**ვის მივმართო უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილებების რეგისტრაციისთვის?**

უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილებების რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. შესაბამისი საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე), თუ მოთხოვნილია დაჩქარებული მომსახურება;

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

**ბოქსის ინფორმაცია:**

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი

ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**ვადა და საფასური:**

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
4 სამუშაო დღეში	უფასო
1 სამუშაო დღეში	30 ლარი
იმავე დღეს	50 ლარი